ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი N 1

ქ. ბათუმი „ 23 " აპრილი, 2019 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის მდივანი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - შორენა ფუტკარაძე;

საკონკურსო კომისიის მოწვეული წევრები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რამაზ მამულაძე;

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს კონსულტანტი - გურამ უსტიაშვილი.

ასლის დამოწმება №1

დღის წესრიგი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე დახურული კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის დახურული კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატის შეფასების ფორმებისა და ჩატარების გრაფიკის განსაზღვრა.

მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე - რაულ ბოლქვაძე;
თანამომხსენებელი: კომისიის მდივანი - შორენა ფუტკარაძე.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 1 აპრილის N05/7 ბრძანების შესაბამისად, საკონკურსო კომისიას დაევალა არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, კერძოდ მეორე რანგის პროფესიული საჯარო მოხელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე დახურული კონკურსის ჩატარება.

ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი"-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონკურსის პროგრამას, პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს საკონკურსო კომისია. შესაბამისად აუცილებელია, რომ კომისიამ განსაზღვროს აღნიშნული საკითხები.

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით მიზანშეწონილია ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:

1) განცხადებების გადარჩევა ანუ წარმოდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2) ზეპირი დავალება;

3) გასაუბრება.

კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადება უმჯობესია მოიცავდეს მოთხოვნას, რომ კონკურსანტმა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) სათანადო განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მიმდინარე პერიოდისათვის ის წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს.

ასევე აღინიშნა, რომ მეორე ეტაპი (ზეპირი დავალება) გაიმართოს მესამე ეტაპთან (გასაუბრებასთან) ერთად. კონკურსის მეორე ეტაპზე - მონაწილე კონკურსანტი შეფასდეს: ა) ზეპირი დავალება - არაუმეტეს 10 ქულით; ბ) გასაუბრება - არაუმეტეს 10 ქულით, შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ გვერდზე, www.hr.gov.ge-ზე, საჯარო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. კონკურსის მეორე ეტაპზე - დადებით შედეგად ჩაითვალოს: **ა) ზეპირი დავალება - არანაკლებ 5 ქულის მიღება და ბ) გასაუბრება - არანაკლებ 5 ქულის მიღება.** კანდიდატი, რომელიც დააგროვებს: **ზეპირი დავალება - 5 ქულაზე ნაკლებს, ან/და გასაუბრება - 5 ქულაზე ნაკლებს**, მიიღებს შეფასებას „ვერ გადალახა". იმ შემთხვევაში, თუ მეორე ეტაპზე ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ მინიმალურ ბარიერს, პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდება. კონკურსის მეორე ეტაპზე რეგისტრაციის დროის განმავლობაში (გასაუბრების დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში) კანდიდატის გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე შეფასდება 0 ქულით.

კომისიის წევრები დისკუსიის შედეგად შეთანხმდნენ და დაადგინეს.

კ ო მ ი ს ი ა მ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ მეორე რანგის საჯარო მოხელის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსის პოზიციაზე კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა, წარმოდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რომელსაც განახორციელებს საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვის პასუხისმგებელი პირი, განცხადებების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) მეორე ეტაპი - ზეპირი დავალება, რომელსაც განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისია;

გ) მესამე ეტაპი - გასაუბრება, რომელსაც განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისია.

2. კონკურსანტებისაგან განაცხადები მიიღება მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით - www.hr.gov.ge, გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში.

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისიის მისამართად განისაზღვროს: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

4. კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება და კონკურსანტი ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე, თუკი საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტს, კერძოდ:

ა) შესაბამისი განათლების (კვალიფიკაციის) დამადასტურებელ დოკუმენტს;

ბ) შრომის წიგნაკის (ასეთის არსებობის სემთხვევაში) ან სხვა სხვა სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტს;

გ) დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ მიმდინარე პერიოდისათვის ის წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს.

5. კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაიშვებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის, განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

6. კანდიდატის შეფასება განხორციელდეს: ა) ზეპირი დავალების მიცემით (სიტუაციური ამოცანა) და ბ) გასაუბრებით (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში). ზეპირი დავალება გაიმართოს გასაუბრებასთან ერთად.

7. ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე თითოეული კონკურსანტი, შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ გვერდზე, www.hr.gov.ge-ზე, საჯარო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კომისიის წევრთა მიერ შეფასდება: ა) ზეპირი დავალება - 10 ბალიანი ქულათა სისტემით და ბ) გასაუბრება 10 ბალიანი ქულათა სისტემით. თითოეული კონკურსანტის საბოლოო შეფასების მისაღებად გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის გამოსათვლელად კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კონკურსანტს.

8. ზეპირ დავალებაში/გასაუბრებაში კონკურსანტები შეფასდება ამ ოქმზე თანდართული კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით. თითოეულ კანდიდატისათვის გამოყოფილია 10-15 წუთი და შესაძლო დასმული კითხვების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: ა) 4 შეკითხვა - სამართლებრივი აქტებიდან; ბ) 3 შეკითხვა უნარებიდან; გ) 3 დამატებითი შეკითხვა (საჭიროებისამებრ). კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს აუდიო/ვიდეო ჩაწერა.

9. ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე დადებით შედეგად ჩაითვალოს: ა) ზეპირი დავალება - არანაკლებ 5 ქულის მიღება და ბ) გასაუბრება - არანაკლებ 5 ქულის მიღება. კანდიდატი, რომელიც დააგროვებს: ზეპირი დავალება - 5 ქულაზე ნაკლებს, ან/და გასაუბრება - 5 ქულაზე ნაკლებს, მიიღებს შეფასებას „ვერ გადალახა". იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე - ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ მინიმალურ ბარიერს, პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდეს.

10. ზეპირ დავალებაზე/გასაუბრებაზე რეგისტრაციის დროის განმავლობაში (გასაუბრების დაწყებამდე ერთი საათის განმავლობაში) კანდიდატის გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.

11. კონკურსანტის მიერ კონკურსის ზეპირ დავალებაში და გასაუბრებაში მიღებულ საბოლოო შეფასებათა შეჯამებით გამოითვლება კონკურსანტის საერთო ქულა. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს უმაღლეს ქულას.

12. იმ შემთხვევაში, თუკი თანაბარი უმაღლესი ქულა დააგროვა ერთზე მეტმა კონკურსანტმა, გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდება კომისიის წევრების ღია კენჭისყრით. გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს კომისიის დამსწრე წევრების ხმათა მეტ რაოდენობას. კომისიის წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

13. კონკურსანტებს ზეპირი დავალების/გასაუბრების ჩატარების დროის შესახებ ეცნობებათ დამატებით, გრაფიკის შესაბამისად.

14. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვის პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს ამ ოქმით გათვალისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირება მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, დამატებით მობილურ ტელეფონზე შეტყობინების გაგზავნით და ასევე კომისიის გადაწყვეტილების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე (batumicc.ge) გამოქვეყნების გზით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი — რაულ ბოლქვაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი — მადონა თურმანიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის მდივანი,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი — შორენა ფუტკარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — რამაზ ძამულაძე

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს კონსულტანტი — გურამ უსტიაშვილი

კანდიდატის შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება	
1 ქულა	ვერ პასუხობს დასმულ შეკითხვებზე; კანდიდატმა ვერ გამოავლინა საკითხების ელემენტარული ცოდნა; ვერ მონაწილეობს დისკუსიაში; კანდიდატის კვალიფიკაცია სრულიად არადამაკმაყოფილებელია.
2 ქულა	პასუხი არასრული და არაზუსტია; კანონმდებლობის ცოდნის დონე დაბალია; უჭირს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და აზრის ჩამოყალიბება; უჭირს დისკუსია, არ შეუძლია საკითხებზე მსჯელობა; კანდიდატის კვალიფიკაცია არადამაკმაყოფილებელია.
3 ქულა	პასუხების გაცემა დაწყებულია არსებითი ხასიათის შეცდომებით; კანდიდატს შეუძლია მხოლოდ მწირი ინფორმაციის სწორად გადმოცემა; უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს / საკანონმდებლოტერმინოლოგია არსებითად მცდარია; კანდიდატის კვალიფიკაციის დონე დაბალია.
4 ქულა	სამსახურებრივ ინსტრუქციებს იცნობს არასრულყოფილად და ხარვეზებით; დასმულ კითხვებზე პასუხები ნაკლოვანი და არაზუსტია; ვერ იყენებს კანონმდებლობას დ ა განმარტებები შეუსაბამოა; კანდიდატის კვალიფიკაციის დონე არ შეესაბამება მოთხოვნებს.
5 ქულა	დასმულ კითხვებზე პასუხები შეკვეცილია, უჭირს ანალიზი; ნაწილობრივ იყენებს კანონმდებლობას / განმარტებები არასათანადოა; ნაკლებად აქტიურია, მოსაზრებები და არგუმენტაცია არასრულია; კანდიდატის კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია.
6 ქულა	შეუძლია დასმულ კითხვებზე პასუხი, მაგრამ უჭირს მსჯელობა; შეუძლია აზრის გადმოცემა თ უ მცა დისკუსიისას არ აქტიურობს. კანდიდატის კვალიფიკაცია საშუალო დონისაა; უჭირს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების წარმოჩენა.
7 ქულა	გააზრებით პასუხობს დასმულ კითხვებს, ერთვება დისკუსიაში; მსჯელობს ლოგიკურად, შეუძლია არგუმენტირება და აზრის დასაბუთება; კანდიდატის კვალიფიკაცია საშუალოზე მაღალი დონისაა; ვერ ახერხებს კომპეტენციის და უნარ-ჩვევების სრულ გამოყენებას.
8 ქულა	აანალიზებს, ასაბუთებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს; ერთვება დისკუსიაში, მსჯელობს ზუსტად და ლოგიკურად; იცის სამსახურებრივი ინსტრუქციებთან დაკავშირებული მასალა; შეუძლია კომპეტენციის და უნარ-ჩვევების გამოყენება და წარმოჩენა.
9 ქულა	საფუძვლიანად ფლობს ინსტრუქციებს და კანონმდებლობას; მსჯელობს და აანალიზებს არგუმენტირებულად და ლოგიკურად; შეუძლია თავის წარდგენა, დასკვნების ლოგიკური და არგუმენტაცია; აქტიურად ერთვება დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; ინიციატივიანი დ ა მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს კორპორაციულ სტანდარტებს, შესაბამისი კანდიდატია.
10 ქულა	სიღრმისეულად ფლობს და იყენებს ინსტრუქციებს და კანონმდებლობას; ლოგიკურად და ამომწურავად პასუხობს დამატებით შეკითხვებს; აქტიურად ჩართულია დისკუსიაში, კვალიფიციური და კომპეტენტურია; შეუძლია მოსაზრებების დასაბუთება და არგუმენტირებული დაცვა; შემოქმედებითი, ინიციატივიანი დ ა მოტივირებულია, ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს; იცნობს და იზიარებს კორპორაციულ სტანდარტებს, იდეალური კანდიდატია.

ასლის
დამოწმება
№1